ცნობის ფურცელი

№ 2295 პარასკევი, 17 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2295

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 8 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

კვირას, 19 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

მურად ფაშა

დრამა 4 მოქმ. თხზ. ბ—ლისა.

II

თილისმის ხანი

კომედია 2 მოქმ. გ. ერისთავისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. ნებიერიძე, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი. დ. ბაქრაძე, გ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 17 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

პიკოვაია დამა

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა გალევისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მელნიკოვა, კარტავინა; ბ-ნნი: დარსკი, შმაკოვი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 18 ოქტ. წარმოდ. გალა—„ფრა-დიავოლო", ობერისა, 19 ოქტ. დილით „ცარსკაია ნევესტა" საღამოთი „კარმენ". მზადდება წარმოსადგ. „ფრანჩესკა და რიმინი", ნაპრავნიკისა. (5.)

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 18 ოქტომბერს, 1903 წელს ავლაბრის ახალ თეატრში

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმ. და 7 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, მ. მდივანი, ნებიერიძე; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონისე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. რეჟისორი **გედევანოვი**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

შ. ჟიჟინაძე.—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოვევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს.- 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

პ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

დამყნილი სანერგე

ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе (10—1718—10)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

დავეძებ ძმას,

რომელიც გავიდა სახლიდან 15 ოქტომბერს, უქუდო, ლურჯი ხალათით. სახელად ჰქვიან ერასტი, 12 წლისაა. მნახველთ ვთხოვთ მოგვიყვანონ, რაზედაც საჩუქარს მიიღებენ, მუხრანის ქუჩაზე, მესხიშვილის სახლში, სოლომონ ქორქოლიანი.

მთავრობის განკარგულება*)

—

უმაღლესად დამტკიცებული 12 ივნისს 1903 წ. მინისტრთა კომიტეტის აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება მთავრობის დაწესებულებათა გამგეობას ჩაბარდეს და ზემოხსენებულ ეკლესიის იმ ქონებისა და თანხების შესახებ, რომელითაც ინახებოდა სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებელნი და რომელნიც საერო განათლების სამინისტროს გამგეობაში უნდა გადაიცეს.

ხელმწიფე იმპერატორმა მინისტრთა კომიტეტის აზრის თანხმად 12 ივნისს 1903 წ. უმაღლესად ბრძანება ინება:

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სათანადო სამინისტროთა უწყებასა და გამგეობას გადაეცეს შემდეგის განწესების ძალით:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებს, მონასტერთ, სასულიერო დაწესებულებასა და სასულიერო სასწავლებელთ, გარდა ქვემორე ჩამოთვლილისა (მუხლი 2 შენიშვნითურთ), ჩამოერთოს დამტკიცებულის წესით, სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო წოდების და დაწესებულებათა მართველობას და გადაეცეს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას, ხოლო ხსენებულ დაწესებულებათა თანხები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობას; ამასთანავე დაცულ უნდა იქმნას სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას უნდა გადაეცეს შემდეგი ქონება სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიისა:

ა) მიწები ნაშენი და უშენი, რა გვარისა და სახელისაც უნდა იყოს, აგრეთვე ცალკე ტყეები, საძოვარი, სათიბი და თევზის საჭერი ადგილები, წისქვილები და სხვა, არ გადაიცემის მხოლოდ ის ადგილები, რომელზედაც აგებულია ეკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები, რომელზედაც აგებულია საეპისკოპოსო სახლები და შენობანი სასულიერო დაწესებულებისა, ქალაქისა და სოფლის სამრევლო სამღვდელოებისა და სასულიერო სასწავლებლებისა; ადგილები ეკლესიებისა და სასაფლაოებისა გალავანში შეზღუდულნი (და დასასრულ, სამღვდელოების ხელთ მყოფი სამოსახლო ადგილები, რომელნიც უჭირავთ ბაღებსა, ბოსტნებს, ხნულებს და სხვა, ზომით არა უმეტეს სამის დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკლესიასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზედ არ გადაუციათ შემოსავლის გულისთვის, და

ბ) გადაიცემის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის, სამღვდელოების და სასულიერო დაწესებულების სახლები და შენობები, რომელიც საჭირო არ არის თვით სამღვდელოების საცხოვრებლად და საოჯახოდ— და ხსენებულ დაწესებულების მოსათავსებლად.

შენიშვნა: ეს წესი არ შეეხება პეტერბურგისა და მოსკოვის სომხის ეკლესიის უძრავ ქონებასა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს აგრეთვე ის ქონება და თანხა, რომელსაც შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ აღნიშნულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ ქონებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო სჯულთა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტი, რომელსაც მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა გარდასცეს ანგარიში და შემოსავალი მის გამგეობაში მყოფ ქონებისა. ამ შემოსავლიდან გამოკლებული უნდა იყოს ყველა გარდასახადი, რომელიც გაწერილი იქნება ამ ქონებასა და ვალდებულებაზედ; აგრეთვე გამოკლებული უნდა იყოს ქვემორე ხსენებული ხარჯიც.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ ქონება და თანხები, შემოსავალს და ფულს, რომელიც შესდგება იმის გამგეობაში მყოფ თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით:

5) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს: ა) არა უმეტეს 10%-ისა ამ უძრავ ქონების მართვა-გამგეობის ხარჯის დასაფარავად, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენად არა ჩვეულებრივ ხარჯთათვის, ქონების გასაუმჯობესებლად, და ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხის შესადგენად; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო დაწესებულებათა საჭიროებას და ამ ეკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებას; ამ თანხას უნდა მიემატოს რაც ზემოხსენებულს (პუნქტი ა.) 10% ხარჯიდან დარჩება.

6) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უთანხმოება მოხდა, ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოირკვა—სამღვდელოების ესა თუ ის ქონება ან თანხა მთავრობას გადაეცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს

II. მიენდოს: 1) შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამღვდელოების დამხმარებელ თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; მინისტრმა თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ უნდა წარადგინოს წესისამებრ დასამტკიცებლად; და ბ) დაადგინოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა შეადგინონ სასულიერო დაწესებულებამ ანგარიში იმ შემოსავლისა, რომელიც სახარჯოდ გადაეცემა და 2) მიწათ-მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა სათანადო სამინისტროებს და ბ) წესი ამ ქონების მართვა-გამგეობისა.

და III. უმაღლესად დამტკიცებულის 26 მარტს 1898 წელს მინისტრთა კომიტეტის აზრის ნაცვლად დაწესდეს:

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს მიენდოს, ამ დებულების 1 მუხლის თანახმად, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სახელმწიფო მმართველობაში რომ მიღებული იქმნება, ერთმანერთთან შეთანხმებით გამოარკვიონ იქ ქონება, რომლის შემოსავლითაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა ინახებოდეს, და მას შემდეგ: ა) აღნიშნონ ის ქონება, რომელიც უნდა დასტოვონ სასწავლებელთა საჭიროებისათვის, და ბ) დანარჩენ ქონების შემოსავლის დაგვარად გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადაეცეს ყოველ წელს საერო განათლების უწყებას ზემოხსენებულ სასწავლებელთა შესანახად.

---

*) ვბეჭდავთ ოფიციალურ თარგმანს.

რედ.

საზღვარ-გარედ

—

იაპონია. ინგლისურ გაზ. „პალმალ-გაზეთ"-ს პორტ-არტურიდან ატყობინებენ: რუსეთსა და იაპონიას ომი აღარ მოუვათ. საფრანგეთის მთავრობის წრეები დარწმუნებულნი არიან, რუსეთი და იაპონია მორიგებით გადასწყვეტენ თავიანთ დავასაო. გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასესაც არა სჯერა, რომ შორეულ აღმოსავლეთში ომი მოხდეს. ერთის, რუსეთიდან მოსულ მაღალ წარჩინებულ, კაცისათვის დელკასეს ეთქვა, რუსეთი და იაპონია უსათუოდ მორიგდებიანო.

დღევანდელმა დეპეშამ გვაცნობა, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ლამსდორფი პარიზში მივიდაო. ლამსდორფი, ალბად, შორეულ აღმოსავლეთის საქმეზე მოელაპარაკება დელკასეს და დახმარებასა სთხოვს საფრანგეთს.

თუმცა გაზეთები ირწმუნებიან, ომი არ მოხდებაო, მაგრამ „ჩრდილოეთის დევი" და „აღმოსავლეთის ამომავალი ვარსკვლავი", ეტყობა, დღესაც ამრეზილები შეჰყურებენ ერთმანეთს. ინგლისურ გაზ. „მორნინგ ლიდერ"-ს ასეთი ცნობა მოჰსვლია გონკ-კონგიდან: „რუსეთის მოხელეებმა ნიუ-ჩუანიდან იაპონიაში შიფრით დაწერილ დეპეშების (საიდუმლო დეპეშების) გზავნა აკრძალეს; რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებებსაც უბძანეს: იაპონელების ვექსილებს ნუღარ მიიღებთო. ბოლოს დროს რუსეთიცა და იაპონიაც დიდძალ გემს ჰქირაობენ ქვანახშირის გადასაზიდად იაპონიისა და რუსეთის ნავთ-სადგურებში. გემის ქირამ წარსულ კვირის შემდეგ ძლიერ იმატა; ტონა ქვა-ნახშირი წინად 17 შილინგად მიჰქონდათ, ეხლა-კი 20 შილინგს თხოულობენ.

ინგლისურმა გაზ. „ტაიმს"-მა ვრცელი წერილი დაბეჭდა შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე. გაზეთი ამბობს, ამ საქმის თაობაზე დიდი სახელმწიფოები ორ ბანაკად გაიყვნენო. იაპონია, ინგლისი და შეერთებული შტატები ერთს მხარეს არიან; ესენი ჩინეთის დამოუკიდებლობას და ხელ-უხლებლობას იცავენ. რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია კიდევ მეორე მხარეს არიან. მართალია გერმანიას რუსეთი მაგრე რიგად თვალში არ უზის, გაუხარდება კიდეც, იაპონიამ რომ „ჩრდილოეთის დევს" ცოტა სისხლი გამოუშოს, მაგრამ ბოლოს მაინც ისევ რუსეთსა და საფრანგეთს მიემხრობა, რადგან ამ სამს სახელმწიფოს საერთო ინტერესი აქვთ შორეულ-აღმოსავლეთში: ესენი სულ იმის ცდაში არიან, რომ ჩინეთის იმპერია ერთმანეთში გაიყონ. გაზეთი წინასწარმეტყველობს, ეს სახელმწიფოები მიაღწევენ კიდეც თავიანთ გულის საწადელს და ჩინეთს ამნაირად გაინაწილებენო: ჩინეთის თურქესტანსა, ტიბეტსა, მონგოლიასა და მანჯურიას რუსეთი აიღებს; საფრანგეთი ჩინეთის სამხრეთ-პროვინციებს დაიჭერს და ამით ფრანგი-პატრიოტების ნატვრას აასრულებს: ინდო-ჩინეთის დიდ იმპერიას შეჰქმნის და ჩვენ ინდოეთის იმპერიას დიდ მეტოქეობას გაუწევს. გერმანია კიდევ თავისს სამფლობელო შანტუნგის დასავლეთითა და სამხრეთით მდებარე ადგილებს დაიჭერს. თუ ინგლისი, შეერთებული შტატები და იაპონია თავიანთ მეტოქე სახელმწიფოებს მედგარ წინააღმდეგობას არ გაუწევენ, ეს წინასწარმეტყველობა უსათუოდ ასრულდება. მარტო დიპლომატიისა და მოლაპარაკების შემწეობით ჩინეთის დამხობასა და განაწილებას ვერავის დააშლევინებენო.

იაპონიამ ძალიან მაგრა გაიდგა ფესვი კორეიასა და ჩინეთში. რუსული გაზ. „ხარბინსკი ვესტნიკი" სწერს: ჩემულპოში (კორეიაში) იაპონელებმა დიდ-ძალი მამული შეიძინეს. სეულშიაც მეტად ბევრი ადგილები იყიდეს კორეიელებისაგან. მიწასაცა და

სახლებსაც თითქმის მწვანილის ფასად ჰყიდულობენ. კორეის მთავრობა ათას ღონესა ღონობს, რომ კორეიელებს მამული ხელიდან არ გამოეცალოს, მაგრამ ვერაფერს ვერა ჰხდება და იმ ქალაქებში, სადაც უცხოელებს დასახლების უფლება აქვთ მიცემული, კორეიელების უძრავი ქონება დაუდგრომლად გადადის იაპონელების ხელში“.

ჩინეთშიაც დიდი გავლენა და ძალა მოიპოვეს იაპონელებმა. გაზ. „რუსკი ინვალიდ“-ი სწერს ამ-ს თაობაზე: „იაპონიის დიპლომატებმა და კონსულებმა ძლიერ შეაყვარეს თავიანთ თავი ჩინეთის მმართველ წრეებს. ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელნი ხშირად მიდიან თავიანთ მონათესავე ხალხთან და ყოველთვის აღტაცებაში მოდიან, მეტად გულწრფელის სტუმართმოყვარეობით უხდვებიან თურმე ჩინელებს „ამომავალ მზის ქვეყანაში!“ ამას წინად ჩინეთმა ახალი კანონები გამოსცა—ფინანსების საქმე სულ სხვანაირ წესზე მოაწყო და მთელ იმპერიისათვის ერთნაირი ფული შემოიღო. ამბობენ, ამ კანონების გამოცემა იაპონელებმა ურჩიესო. „ცის ქვეშეთის“ იმპერიის მთავრობას საგანგებოდ მოხელეები გაეგზავნა იაპონიის საფინანსო საქმეების შესასწავლად. იაპონელები, რასაკვირველია, ყველაზე დიდ ყურადღებას ჩინეთის სამხედრო საქმეებს აქცევენ. 1900 წლის ომამდე ჩინეთის ჯარში ინსტრუქტორებად (ხელმძღვანელებად) სულ გერმანელები იყვნენ; ომის შემდეგ კი იაპონელებმა ნელ-ნელა სულ მთლად განდევნეს გერმანელები. ეხლა ჩინეთის ჯარში 200-მდე იაპონელი ხელმძღვანელი ითვლება. უმაღლეს და ნამეტნავად საშუალო სასწავლებლებში ბევრი იაპონელი მასწავლებელი მსახურობს; უცხოელების მასწავლებლებად ხომ თითქმის სულ იაპონელები არიან. ჩინეთიდან ბევრი სტუდენტი მიდის იაპონიის უნივესიტეტებში სასწავლებლად. პეკინში ამას წინად უმაღლესი სასწავლებელი დაარსეს და პროფესორებად სულ იაპონელები მიიწვიეს. ერთის სიტყვით, იაპონელების გავლენა ჩინეთში ბოლოს დროს მეტად გაძლიერდა და ამას იქით ხომ უფრო მეტადაც გაძლიერდება“.

ვნახოთ ეხლა თითონ იაპონიაც რამდენადაა განათლებული ხმა ამოღება, სიტყვა ეთქმის განათლებულ ერებში, თუ არა?

იაპონიაში პირველ-დაწყებითი სწავლა ყველასათვის სავალდებულოა და ამავე დროს უფასო. ყოველი ბავშვი, რამწამს 6 წლისა გახდება, აუცილებლად სკოლაში უნდა გაიგზავნოს. პირველ-დაწყებითი სასწავლებელი სულ 27,015 ითვლება. ამ სასწავლებლებში ყოველს წელს 2 მილიონი პატარა იაპონელი ამთავრებს კურსსა. ყოველი ბავშვი 4 წელიწადს სწავლობს. 14,220 სკოლაში უმაღლესი კურსებიცაა გამართული იმ ბავშვებისათვის, ვინც სწავლის გაგრძელებას მოიწადინებს.

იაპონიაში 170 გიმნაზიაა: მთავრობისა—130 და კერძო—40. გიმნაზიებში 4 წელიწადს სწავლობენ, მაგრამ აქ მხოლოდ იმას იღებენ, ვისაც პირველ-დაწყებით სასწავლებლის დამატებითი კურსი გაუვლია. გიმნაზიის კურს-დამთავრებულს უმაღლეს სასწავლებელში არსად არ მიიღებენ, თუ გიმნაზიის შემდეგ კიდევ 2 წელიწადს დამატებით კურსებზე არ ისწავლის.

უნივერსიტეტი—5: მთავრობისა—2 და კერძო—3. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი—2, უმაღლესი სავაჭრო აკადემია—2, უმაღლესი საპედაგოგიო სასწავლებელი—2, სამასწავლებლო სემინარია—47, საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი—72, სახელოსნო სკოლა—140.

იაპონია ქალების განათლებასაც დიდ ყურადღებას აქცევს: 27 საქალებო გიმნაზია აქვს დაარსებული. ორის წლის წინად ტოკიოში ქალების უნივერსიტეტიც გახსნეს. ამ უნივერსიტეტს 4 ფაკულტეტი აქვს: ისტორიულ-ფილოლოგიური, ფიზიკო-მათემატიკური, სოციალ-ეკონომიური და საექიმო.

მოწაფეებს გიმნაზიებში სწავლის ფულს წელიწადში საშუალოდ 20 მან. ართმევენ, იმასაც თვე-და-თვე, წვრილ-წვრილად.—ბეჯით მოსწავლეებს სწავლის ფულს ან სულ აპატიებენ, ან ნაწილს. უმაღლეს სასწავლებლებში მთავრობას მრავალი სტიპენდია აქვს დაარსებული. სწავლის დასრულების შემდეგ, ყველა მოვალეა მიღებული სტიპენდია მთავრობას ნაწილ-ნაწილად დაუბრუნოს. გადასახადების მომკრეფნი დადიან და ყველა კურს დამთავრებულს, ვინც რამე სამსახურსა ან საქმეში იქნება, სტიპენდიად მიღებულ ფულს წვრილ-წვრილად ახდევინებენ.

პირველ-დაწყებით სასწავლებელში 6 წლის ბავშვესი შედიან. სწავლა ამ სკოლაში პირველ ორ წელიწადს საბავშვო ბაღების სწავლასა ჰგავს, შემდეგ ორ წელიწადს კი ჩვენებურ გიმნაზიების მოსამზადებელ კლასების სწავლას მოგაგონებსთ.

ევროპიელები, ვინც კი იაპონური პირველ-დაწყებითი სკოლა ნახა, ყველანი ერთხმად აქებენ ამ სკოლებს და ამტკიცებენ, იაპონელი მასწავლებლები მეტად კარგად ექცევიან ბავშვებს და სწავლითაც ჩინებულად ასწავლიანო. ყველაზე კარგად თურმე ბოტანიკასა და ზოოლოგიას ასწავლიან.

იაპონიაში ყველა სასწავლებელი მოწაფეებით გაჭედილია. ამას გარდა, ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ უცხო ქვეყნებშიაც, ამერიკასა, ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა, იტალიასა, ერთის სიტყვით ყველგან, საცა კარგი უმაღლესი სასწავლებლებია, დიდძალი იაპონელი სტუდენტი სწავლობს.

ამ მოკლე ცნობებიდანაც-კი ცხადად სჩანს, რომ იაპონიას წილი სდებია განათლებულ ქვეყნებში.

ახალი ამბავი

◆ **მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან** მისმა ბრწყინვალებამ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გოლიცინმა განსაცდელისაგან გადარჩენის გამო მიიღო ვოლფსჰარტენიდან (დარმშტადტი). 15 ოქტომბერს შემდეგი დეპეშა:

„ვმადლობ უფალს, რომ თქვენი სიცოცხლე დაიცვა. გულით გისურვებთ თქვენ მალე მორჩენას, რომ წინანდელის მხნეობით და ერთგულებით შესძლოთ რუსეთისა და ჩემთვის დიდად სასარგებლო სამსახურის განგრძობა. მოკითხვა კნეინას.

ნიკოლოზ“.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის **თავადის გოლიცინის ჯანმრთელობის** ბიულეტენი:

მისმა ბრწყინვალებამ ღამე 15 ოქტომბერს კარგად გაატარა. ტემპერატურა დილით 37,5. მთელი დღის განმავლობაში საზოგადოდ კარგად ჰგრძნობდა თავს; მადა მიეცა. საღამოზე ტემპერატურა 38,6, მაჯა 84. კეფაზე, ჭრილობას, რომელსაც ეხებოდა გაჭრილი ქუდი, ცოტა ანთება ეტყობა.

ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, გადომსკი.

16 ოქტომბერი საღამოს 8 საათი.

◆ გუშინ, 16 ოქტომბერს, წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გადაიხადეს **პარაკლისი მთავარ-მართებლის** განსაცდელისაგან გადარჩენისთვის. დაესწრნენ უმაღლესი მოხელენი გენერლობა და დიდძალი საზოგადოება.

◆ ხვალ, 18 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში საბჭოს ხმოსანთა და გამგეობის თვით-მმართველობის მოხელეთა თანადასწრებით **გადაიხდიან პარაკლისს** მთავარ-მართებლის განსაცდელისაგან გადარჩენისათვის.

◆ 15 ოქტომბერს ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულომ შეასწორა სიები ჯარში გასაწვევ ახალ-გაზდებისა და გუშინ, 16 ოქტომბერს, უკვე შეუდგა **კენჭის ამოღებას.** ჯარში გაწვეულთა ჯანმრთელობის შემოწმებას შეუდგებიან დღეს, 17 ოქტომბერს.

◆ კავკავის რკინის გზის საზოგადოებას სათანადო მთავრობისთვის წარუდგენია ახალი პროექტი **შავის ზღვის პირად** განზრახულ რკინის გზისა.

◆ **საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად** დაინიშნენ: ქუთაისის ოლქის სასამართლოსი—ქუთაისის გუბ. თავად-აზნ. წინამძღოლი თავ. ლორთქიფანიძე, ტფილისის ოლქის სასამართლოსი: მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი პრიბილი, [illegible] და სულთან-კრიმ-გირეი, სამასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე გაკკელი და სიღნაღის მარზის თავ.-აზნ. წინამძღონი თავ. ვაჩნაძე.

◆ ტფილისში განზრახულ **„ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების“** წესდება გუბერნატორს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გაუგზავნია.

◆ ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, სხდომა ჰქონდა ტფ. **საბჭოს საფინანსო კომისიას.** გამგეობამ წარუდგინა კომისიას ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, რომლით შემოსავალი აღრიცხულია 1 მ. 200 ათას მანეთზე მეტი, გასავალი-კი 1 მ. 500 ათას მანეთზე მეტი, ასე რომ დეფიციტი 172 ათას მანათს უდრის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამგეობას, როგორც ხარჯთ-აღრიცხვის შემდგენელს მოეთხოვება, არ აღუნიშნავს, როგორ და რომელ წყაროდან უნდა დაიფაროს ეს დეფიციტი. ოთხშაბათის სხდომაზე კომისიამ მოასწრო გასავალის 6 მუხლის განხილვა და, სხვათა შორის, გამორიცხა 20 ათასი მან., რომელსაც გამგეობა მოითხოვდა ქუჩების მოკირწვლაზე, რადგან ამ ჟამად ქალაქი იწყებს ყველა ქუჩების ახალს მოკირწვლას.

◆ 15 ოქტომბერს სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის** ზრუნვა. სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ დაწესდეს ტფილისში ქალაქის ხარჯით განსაკუთრებულ მომრიგებელ მოსამართლის ნაწილი. ახალ ნაწილის მომრიგებელი მოსამართლე გაარჩევს იმათ საქმეებს, ვისაც სანიტარულ წესების დარღვევისათვის პასუხის გებაში მისცემენ. დღეს მომრიგებელ მოსამართლეებს ბევრი მუშაობა აქვთ და ამ გვარ საქმეების განხილვა ძალიან გვიანდება. მოსამართლის თანამდებობის გარდა, კომისიის აზრით, უნდა დაწესდეს განსაკუთრებულ ტეხნიკოსის თანამდებობაც, რომელსაც დაევალება ოქმების შედგენის დროს შეჰკრიბოს საჭირო ცნობები და საქმესთან ერთად წარუდგინოს მოსამართლეს. კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა ეს აზრი და დაავალა ხმ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ ახლად გარდაცვალებულ **შამხოროვს დარნენია** 220,000 მანეთის ქონება და ფული. ანდერძით ამ ქონებითა და ფულით სიკვდილამდე უნდა ისარგებლოს ცოლმა, შემდეგ ტფილისის თვით-მმართველობას გადაეცემა. მთელის შეძლების 6% -ით უნდა დაარსდეს სტიპენდიები, აქედან 2/3 სომეხთათვის და 1/3 სხვა ერის შვილებისათვის. ქონების 20% უნდა მოხმარდეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარისთვის შენობის

ფელეტონი

ბავშვების მოვლა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი 6.

თქვენ გადაგიწყვეტიათ, ბატონო ჩემო, რომ, რაც შეიძლება მომეტებული ხანი ამყოფოთ ხოლმე თქვენი ემიკო წმინდა ჰაერზე. ძალიან მოსაწონი განძრახვაა. სარგებლობა წმინდა ჰაერით ცხოვრებითი მოთხოვნილებაა ბავშვის ზრდისათვის; სეირნობა იმის გარდა, რომ კარგად მოქმედობს მის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე ბავშვები ეჩვევიან დაკვირვებასა, შორს-მხედველობას; თვალები ბავშვის, რომლებიც აქამომდის ბეცად გამოიცქირებოდნენ, თავისუფლდებიან ამ სენისაგან და მარჯვედ ეჩვევიან დიდ მანძილზე გაარჩიონ მოშორებული საგნები. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მხედველობას რამდენიმე დღის განმავლობაში ეძლევა ხოლმე ძალა და ღონიერდება. ესაც შენიშნულია, რომ რამდენიც ბავშვი უკეთესად გაარჩევს მოშორებულს საგნებს, იმდენად იგი კარგ გუნებაზე დგება, რასაც გამოჰხატავს ხოლმე სხვა-და-სხვა მოძრაობითა, ხარხარითა და ლუღლუღითა. ბავშვი უფრო არის დამოკიდებული კარგსა და ცუდ ჰაერის გავლენაზე, ვინემ დიდი ადამიანი. ჰაერიც, ისე როგორც საჭმელი, ხშირადა ხდება ხოლმე მიზეზად ბავშვის ავადმყოფობისა და ისე არაფერი ამაგრებს ბავშვის სხეულს, როგორც მისი ყოფნა წმინდა ჰაერზე. ამისთვისაც უნდა ვცდილობდეთ, რომ ბავშვი ხანგრძლივ არა რჩებოდეს უჰაეროდ და ყოველ დღე გავასეირნოთ ხოლმე ქუჩაში. ამ სეირნობის დროს მას სმენაც ეხსნება: იგი თავისუფლად იცნობს თავისიანების ხმას; მას ესმის საათის „ძინ-ძინ“, ზარების წკარა-წკური და საკრავების ხმა, იგი ყურადღებას აქცევს ყველა იმას, და თხოულობს, რომ იგი იქითკენ წაიყვანონ, საიდგანაც ხმა ესმის. დიდი და უსიამოვნო ხმაურობა აშინებს მას; ნაზი ხმა კი უალერსებს, ულოლიავებს მის გრძნობებს და კარგად მოქმედობს მის ჯერედ გაუფუჩქვნელ ტვინზე. *) ასე, ბატონო ჩემო, სეირნობას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ემიკოსათვის და ნუ დაიზარებთ ხშირ-ხშირად ასეირნოთ ხოლმე იგი, მაგრამ ერთსა გთხოვ: ჯერ თვით თქვენ წადით და დაათვალიერეთ ის ადგილები, საითაც სიხარულით გაემგზავრებიან ხოლმე გამდლები. აქ თქვენ ბევრს რასმე ცუდსა ჰნახავთ. მე ჩემი თვალით მინახავს რაც ამბები ხდება ამ სასეირნო ადგილებში და მიხარიან, რომ ღარიბი მშობლების ბავშვები მორიდებულნი არიან ყველა იმ საძაგლობას, რაც იქა ხდება. აი რასა ბრძანებს ერნესტ ბემე ამ საგნის შესახებ: „ვთქვათ თქვენი პატარა სულდგმული გამდლის მფარველობის ქვეშ წაბრძანდა სასეირნოდ. ყმაწვილს მზე პირდაპირ თვალებში შესცქერია; ხან-და-ხან გაქცევ-გამოქცევაც უნდა, საყმაწვილო ეტლში ფართხალებს, მაგრამ ვის შესტკივა მისთვის გული, გამდლებს ეჯავრებათ ამათი ტარება, რადგან ფეხით რომ ვატაროთ, ამათ ყურისგდება უნდაო, რომ არ წაიქცეს და ან ტანისამოსი არ გაისვაროსო. ზის ყმაწვილი ეტლში და გული ეთუთქება მარტოობით. აი საძირკველი იმ სენისა, რომელიც ხშირად ეწვევა ხოლმე ზოგიერთ ყმაწვილებს! სახელი სიყმაწვილის ამ საშინელი მტრისა არის მოწყენა.

ბავშვი სწუხს, სტირის, ეძებს გამდელს, მაგრამ სად არის გამდელი?! ის დობილებშია გართული, და თუ გამოჩნდა, კარგ-კარგებსაც შეუკურთხებს და დაყვავების მაგიერ ლაზათიან სილებსაც აჭმევს, მოზრდილი ბავშვები ხომ გინების გუდათ გადაიქცევიან და შინ მისვლისთანავე მოჰხსნიან პირს და გინებას კენჭებივით ისვრიან. მშობლებს კი უკვირთ და ამბობენ: თითქო სახლში გინებას არავინ აგონებს და საიდან ითვისებენ, თუ ბუნებრივი მიდრეკილება არა აქვთო?..

არიან მეორე ჯურის გამდლებიც; ბავშვი რომ სტირის, ესენი აშინებენ ხოლმე სხვა-და-სხვა სახელების დაძახებით, მაგ: „მოვიდა ბუა“; „მგელო, მოდი წაიყვანე შალიკო“ და სხვანი. ეს მეორე ჯურის გამდლები პირველებზე ათასჯერ უფრო მავნებლები არიან თქვენი ბავშვისთვის და ამიტომ ერიდენით მათ... გინებასა და ცემა-ტყეპას ბავშვი კიდევ დაივიწყებს, მაგრამ შიში-კი ყოველ დღე ჰქეჯნის მის ნორჩ გულს. ცოტა მაგალითი კი არ არის, რომ ამ გვარი დაშინებით ბავშვები ავად გამხდარან და წუთი სოფელსაც გამოსთხოვებიან უდროვოთ!... მესამე ჯურის გამდლები, ცოტათი უფრო უკეთესები არიან პირველებზე, ნებას აძლევენ ითამაშონ ბავშვებმა განურჩევლად ყველასთან, როგორიც უნდა ყმაწვილი იყოს. მაგრამ ის-კი აღარ იციან ამ დალოცვილებმა, თუ რა სიფრთხილე მართებთ მათ ამ შემთხვევაში. როცა ბავშვები თამაშობაში წაიკიდებიან ხოლმე, გამდელს გული მოსდის, არ იცის რომელი გაამართლოს, ან რომელი გაამტყუნოს და ერთ-ერთს მათგანს უჯავრდება, ანუ სტუქსავს. ბავშვი ჰხედავს გამდლის უსამართლობას და მის გულს ნელ-ნელა ეპარება ზიზღი ჯერ თვითონ გამდლისა და მერე სხვისადმიც. ამისთანა გამზდლების, ბრალია სხვათა, შორის იმ ხასიათის შეთვისება, რომ ზოგიერთი, უკვე ხასიათდამჯდარი პირები, ყოველისფერს ზიზღით უცქერიან.

ასე, ჩემო ბატონო, გამზდლები საიმედონი არ არიან; თქვენ კი მშველელი გეჭირვებათ შვილის აღზრდაში. მაშ რა უნდა ჰქმნათ? ერთი ღონისძიება დარჩენილი. ვიცი გეუცხოებათ იგი, მაგრამ მაინც მოგახსენებთ: წინადვე მოამზადეთ გამზდელი, გაზარდეთ იგი თქვენი შვილისათვის. ერთი შეხედვით იქნება ძნელ საქმედ გეჩვენოთ ეს, მაგრამ

---

*) დაკვირვება: ამ ერთი თვის წინად ჩემი შვილის პაწაწა გამდელმა უეცრივ შეჰყვირა და ჩემს შვილს ისე ძალიან შეეშინდა, რომ გაფითრებული მოჰყვა ხანგრძლივ ტირილს და გაჩუმდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე ოთახში ნაზი, ტკბილი სიმღერა გაიგონა: თვითონაც აღუღუნდა, გადიყარა სახიდან ღრუბლები, მოჰყვა ტაშის კვრას და მოინდომა გასვლა იქ, საიდანაც ისმოდა სიმღერის ხმა.

ალ. ნათაძე

აგებას, 10% ტფ. საკომერციო სასწავლებელს და 10%-მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენს ავჭალაში.

◆ დღეიდან ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის ვაგონები ივლიან ამ წესით: დილით ვაგონები გამოვლენ 6 საათსა და 45 წუთზე. ხიდის ქუჩიდან სადგურისაკენ პირველი ვაგონი წავა 7 საათზე, უკანასკნელი ვაგონი 11 საათსა და 13 წუთზე დაბრუნდება პარკში.

◆ ყრუ-მუნჯთათვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას, ყოველ დღე არწყვევინოს რიყის ქუჩის ის ნაწილი, სადაც საზოგადოების სკოლაა, რადგან იქ მუდამ მტვერია.

◆ გუშინ, 16 ოქტომბერს, ხორცის დუქნების გამგემ ალიხანოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასცეს 5000 მანეთი საკლავ საქონლის სასყიდლად.

◆ სტუდენტი დავით კიღურაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმესს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც დახმარება აღმომიჩინეს უმაღლეს სასწავლებელში გასამგზავრებლად“.

◆ სილ. თავართქილაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულწრფელ მადლობას ვუცხადებ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც თავიანთი წვრილი არ დაიშურეს, რომ ნაგომრის სამრევლო სკოლის ღარიბ მოწაფეებისათვის ჟურნალი „ჯეჯილი“ დამეკვეთა.

◆ 15 ოქტომბერს შუშის მოქალაქეს ალი-ისმაილ-ყული-ოღლის პოლიციაში განუცხადებია, რომ პაშიკო გორგაძის სარისკიპო სახლში ვიყავ და კარგა ხანს ქეიფის შემდეგ ქუჩაში გამოვედი. იქ გორგაძის უკანონო შვილი ნიკოლოზ გორგაძე და ტფილისის მოქალაქე გიგო ადამოვი წამეჩხუბნენ, რომლის დროსაც ვიღაცამ ჯიბიდან ამომაცალა 775 მან. და ოქროს საათი ჯაჭვითაო. ეჭვი მიიტანეს გორგაძესა და ადამოვზე და დააპატიმრეს.

◆ 14 ოქტომბერს კახეთის მოედნის დაღმართზე დროგით მონავალა სოლომონ ნერსესოვი. დროგი ისე ყოფილა ავსებული, რომ ცხენები ველარ შეუკავებია. დროგს ქვეშ მოუტანია იქვე მიმავალი მარქარ ბადალოვი და დაუშავებია. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში პოლიციელებმა დაიჭირეს ტფილისის ქურდ-ბაცაცები ივანე გრეჩიშკინი, პავლე ზემლიანსკი, გეორგ ცაკანოვი და ივანე კალინინი. ამათ მიასწრეს მაშინ, როდესაც სადღაც მოპარული ნივთები მიჰქონდათ გასასყიდად.

◆ 14 ოქტომბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, პოლიციელებმა დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქე იაკობ ნოვიცკი, რომელსაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებოდა და აქამდე პოლიციას ემალებოდა.

შინ და გარედ

23.

„ნოვ. ვრ.“-მაც ხმა ამოიღო განაპირა ქვეყნების ერთგვარ უბედურებაზე.

საქმე ის არის, რომ იმპერიის განაპირა ადგილებს, დაპყრობის პირველ ხანებში მაინც, დიდძალი უვარგისი ელემენტი ეტანება. რუსეთის შუაგულიდან და სატახტო ქალაქებიდან იქითკენ გარბის ან ინიშნება სხვა-და-სხვა გვარი „საზოგადოების და ერის ნაძირალი“, ავანტიურისტი, წყალ-წაღებული ელემენტი, რომელსაც სხვა საგანი არა აქვს-რა, გარდა სიმდიდრის და პირად კმაყოფილების მოპოვებისა ახალს ქვეყანაში. მიდიან ეს უსინიდისო და თავზე ხელაღებულნი „მოღვაწენი“ ახალ ქვეყნებში და იწყებენ „კულტურის“ გავრცელებას ანუ, როგორც ევროპიელნი ამბობენ, თავისებურ „კულტურტრეგერობას“. ამათში ყოველგვარ პროფესიის და ხელობის წარმომადგენელთ შეხვდებით: მოხელეთ, ვაჭართ, მრეწველთ, ინჟენერთ და მრავალ სხვათ. მათი მადა განუსაზღვრელია და, რადგან არავითარი—არც საზოგადოებრივი, არც სახელმწიფური—კანტროლი ადგილობრივ არ არის, იწყება საშინელი განგაში: შეურაცხყოფა მკვიდრთა, ხალხის ყვლეფა, ხაზინის გაქურდვა—ყოველივე სისაძაგლე იჩენს თავს და საშინელს ყოფაში აგდებს ახლად შემოერთებულს ქვეყანას. რამდენად უფრო დაშორებულია ცენტრზე ასეთი განაპირა ადგილი, მით უფრო საშინელი ექსპლოატაცია და გარყვნილება იკიდებს იქ ფეხს. გაიხსენეთ თუნდა, რა ყოფაში იყვნენ რუსი მოხელენი საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს...

ამ ბედს ვერ ასცდა შორეული აღმოსავლეთიც. დაუჯერებელია იქაურ კულტუროსანთა გმირობის ამბები, რომელიც ყრუდ აღწევს ხოლმე ჩვენამდე. ბევრი სისაძაგლე საიდუმლოდ რჩება და, თუ ზოგი რამ ეხლა გამომჟღავნდა, ესეც იაპონიასთან ომის მოლოდინის მიზეზით. ცხადია, ომი გაძნელდება და სახიფათო იქნება იქ, სადაც ათასგვარი ბოროტება ხდება, სადაც მოხელე, ინჟენერი და ყველა, ვისაც რამე საქმე აბარია, ბოროტად ხმარობს თავის ძალას, მინიჭებულს უფლებას, ატყუებს და ყვლეფს ხალხსაცა და სახელმწიფოსაც! სწორედ ომის მოლოდინითვე უნდა ავხსნათ „ნოვ. ვრ.“-ს, „ნოვ. კრაი“-ს, „ვლადივოსტოკ“-ის და სხვა გაზეთების მხილება შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბებისა. სხვა დროს ეს გაზეთები თავს არ შეიწუხებდნენ თუნდ იმიტომ, რომ მტერს არ გაეკიცხა განაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმე...

უნდა-კი ვთქვათ, რომ ეს მხილებაც ვერ არის საკმაოდ გაბედული. გაზეთები ყრუდ ამბობენ მილიონების გაფლანგვასა, რკინის გზების უწესოდ აშენებასა და სხვა ამგვარ ბოროტებაზე. მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანში ისევ იქაურმა გაზეთებმა გამოამჟღავნეს ზოგიერთი ფაქტები, რომლის გამო „ნოვ. ვრ.“ ჰქუხს და იმუქრება. მოვიყვანოთ ზოგი მხილება, რომელიც საზოგადოთ, ცოტად თუ ბევრად, ახასიათებს მოხელეთა და სხვა „მოღვაწეთა“ გმირობას განაპირა ქვეყნებში.

გაზ. „ვლადივოსტოკი“ აცხადებს, რომ ნავთსადგურში რამდენიმე ახალი გემი სდგას, რომელნიც ადგილიდან ვერ დაუძრავთ, ისე „მშვენივრად“ არიან გაკეთებულნიო; ხალხმა „კოჭლი გემები“ უწოდა სახელად ამ ახალს გემებსაო. შემდეგ იგივე გაზეთი ირწმუნება: როგორც აღმოჩნდა, გემებზე—„მანჯურია“, „მონგოლია“, „ნონნი“, „შილკი“, „არგუნი“ და „ამური“—ყველა შემაერთებელი ნაწილები იტალიურ მაკარონიდან იყო გაკეთებულიო. გაზეთი გემების ყველა გამკეთებელთ პირდაპირ ქურდებათ და უსინიდისო პირებით აღიარებს. „მონგოლიაზე“ და „მანჯურიაზე“ პალუბებიც არ აღმოჩნდა თურმე; მიუხედავად ამისა, მოხელეებმა ყველა ეს გემები მოიწონეს და მიიღესო.

„პრიამ. კრაი“ იტყობინება, ამ მოკლე ხანში აქაურ რკინის გზაზე მრავალი შენობა დაინგრა პატარა წვიმის შემდეგაო. გაზეთს აღნიშნული აქვს ბევრი ამგვარი ფაქტი „კვანტუნის პანამისა“ და ბოლოს სწერს: „ამ საგმირო საქმეთა ჩამდენნი-კი, ჯვარ-მედლებით დაჯილდოვებულნი, განცხრომასა ან ქეიფს ეძლევიან სადმე ბაღებში და ჰფლანგავენ მოპარულ-ნაძარცვ ფულსა· ვინ იტყვის, ვინ შეატყობს, რომ ეს ვაჟბატონები კვანტუნის პანამის რაინდები არიან?!

ეს ქურდობაზე; ახლა მოისმინეთ ერთი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობიან მკვიდრთ ეს საზიზღარი რაინდები. გაზეთ „ვლადივოსტოკ“-ისავე სიტყვით, სადგურ პოგრანიჩნოეზე ერთი ბობოლა გაბრაზდა თურმე იმის გამო, რომ უბედურმა ჩინელმა მუშამ აგურის მოტანაზე უარი უთხრა; ბობოლას ბრძანებით, მუშას მაშინვე სტაცეს ხელი და შტიკებით დაჩხვლიტეს; საბრალოს გვამზე 30 ჭრილობა აღმოჩნდა! „ნოვ. ვრ.“-ია სამართლიანად ჯავრობს, „ვლადივოსტოკ“-ი რატომ არ აცხადებს ამ ავაზაკ მოხელის გვარსაო?! მაგრამ, განა „ნოვ. ვრ.“-ს არ ესმის ამ „უცნაურის სიჩუმის“ მიზეზი?

უბედურებაც ის არის, რომ ჩვენს დროში ეს „უცნაური სიჩუმე“ ბატონობს და ირგვლივ სიბნელე ჰსუფევს; ხოლო სიჩუმეში და სიბნელეში ყოველ გვარი ბოროტებაა მოსალოდნელი.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ გრიაზოვეცის სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, მიიღოს საერო განათლების სამინისტროსაგან დანიშნული სუბსიდია—2 ათასი მანეთი—იმ პირობით, თუ ამ ფულის განაწილება სამაზრო საბჭოს მიენდობა და სასწავლებელთა მართვის საქმე ისევ ერობის ხელში დარჩება.

◆ ბესარაბიის გუბერნატორს კიშინევის პოლიცმეისტრისათვის გაუგზავნია მიწერილობა, დაათვალიეროს კიშინევში პურისა და ბულკის საცხობები. მიწერილობაში მოხსენებულია, რომ პურისა და ბულკის მცხობელ მუშებს გუბერნატორისათვის მიურთმევიათ თხოვნა, რომელშიაც მუშებს აუწერიათ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა და პურის საცხობებში მუშათათვის არსებული არა ადამიანური პირობები. შეუსვენებლად ამუშავებენ თურმე დღე და ღამე. არ აქვთ პურის საცხობებთან ცალკე ოთახი და მუშაობით დაღლილნი და დაქანცულნი იძულებულნი არიან იქვე, პურის საცხობში, დაწვნენ ხოლმე. ანტისანიტარული პირობები ცუდად მოქმედებენ მათზე, ავადმყოფდებიან და უდროვოდ იხოცებიან.

◆ როგორც „ოდ. ნოვ.“-ი იუწყება, ოდესის საბერძნეთის კონსულს ამ ბოლო ხანებში თან-და-თან მეტ დამახინჯებულ ბავშვების გზავნა უხდება საბერძნეთში. საბერძნეთიდან მოდიან თურმე რუსეთში ერთგვარი აგენტები, რომელთაც თან მოჰყავთ სამშობლოდან, ვითომ რაიმე სამსახურში ჩასაყენებლად, პატარა ბავშვები. რუსეთში-კი უმახინჯებენ ბავშვებს ფეხებს, ხელებს, სახეს, ხშირად, როგორც კონსულის საქმეებიდანა სჩანს, ენასაც სჭრიან და შემდეგ ძალდატანებით აკრებინებენ მოწყალებას. ბავშვებისათვის ხშირად უნახავთ დაბეჭდილი მოწოდება, რომელშიაც ნაამბობია, რომ მშობლები მოკლული ჰყავთ და ან რაიმე უბედურის შემთხვევის მსხვერპლი შექმნილან.

◆ გაზეთი „კურ.“-ი გადმოგვცემს, რომ მოსკოვის ქალაქის თვით-მმართველობის მოღვაწეთა შორის ხმა დადის, ვითომ მომავალ წლიდან მოსკოვში პეტერბურგისათვის შემუშავებულს ახალ საქალაქო დებულების შემოღებას აპირობდნენ 1904 წელს ქალაქის ხმოსნების არჩევნები ახალის დებულებით უნდა მოხდესო.

◆ კამიშლოვის საერობო კრებაზე განუხილავთ ერთის საბჭოს ხმოსნის მიერ წარდგენილი მოხსენება სამრევლო სკოლებისათვის მეტ შემწეობის აღმოჩენის შესახებ. კამათის დროს დამტკიცდა, რომ სოფლის საზოგადოებანი ყოველთვის საერობო სკოლების დაარსებასა და სამრევლო სკოლების დახურვას თხოულობენ და თვით ერობა თავის საზოგადოებად არ სთვლის იმ საზოგადოებას, სადაც სამრევლო სკოლები არსებობს. კრებამ უარ-ჰყო მოხსენება შემწეობის მომატების შესახებ და დაადგინა უკვე გადადებულ შემწეობის ნახევრად შემცირება.

◆ ვიტებსკის გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქ დვინსკში პოლიციის გასაძლიერებლად ყოველ დღე უნდა ინიშნებოდეს სადარაჯოდ 15 ცხენოსანი არტილერისტი.

◆ „ნოვოსტი“-ს გაუგია, საერო განათლების სამინისტროში აღძრულია განსახილველად საკითხი პეტერბურგის უნივერსიტეტ-

---

ადვილი-კია, თუ ხანში შესულის მაგიერ ჯერ სულ ახალგაზრდა ქალიშვილს აიყვანთ გამზდელად. იშოვნეთ ახალგაზრდა, მხიარული, მოლაპარაკე (ყბედი არა) გამზდელი და აღზარდეთ იგი. ახალგაზდა უფრო შეითვისებს დ შეიტკბობს თქვენს ბავშს, ვინემ ხანში შესული, მაგრამ ვიდრე ჩააბარებდეთ მას თქვენს ბავშვს, დეე, რამდენიმე ხანი ისე იცხოვროს თქვენს სახლში, მიიხედ-მოიხედოს, გაიცნოს ის, თუ თითონ თქვენ როგორა ზრდით ბავშსა, როგორ ელაპარაკებით, როგორ ათამაშებთ და იცინით მასთან. თუ თქვენ მოახერხებთ და კარგად მოექცევით ბავშვს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი ახალგაზრდა გამდელიც მალე მიჰყვება ამას. გამდელი უნდა უყურებდეს თქვენს შვილს, როგორც თქვენს საუნჯეს, ძვირფას სამკაულს და თუ როგორმე შეაგნებინეთ ეს თქვენ გამდელს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი ყმაწვილი ამასთანაც იმავე სიამოვნებას გამოსცდის, როგორც თქვენთან. დაარიგეთ ხოლმე თქვენი გამდელი ალერსიანად; ამან უნდა იგრძნოს, რომ თქვენ მისთვისაც კეთილი გსურთ. ჯილდოთ ამისთანა ზრუნვისა გამდლების შესახებ ის სარგებლობა იქმნება, რომელსაც ესენი თქვენს შვილს მოუტანენ. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ გამდელი მოსამსახურე გოგო არ არის: ეს მაღლა უნდა იდგეს ამათზე, ის არის ამხანაგი თქვენი შვილისა და თითონ თქვენ კი აღმზრდელი ორივესი. ახალგაზრდა გამდელმა ჯერ ოთახში უნდა უგდოს ყური პაწაწინას, ცოტა ხანს შემდეგ სასეირნოთაც მიანდეთ ახლო-მახლო ადგილებში და მერე შორსაც შეგიძლიანთ ანდოთ ყმაწვილის გატარება *).

ასე, ჩემო ბატონო! გამდლები საიმედონი არ ყოფილან, თქვენ-კი უეჭველად უნდა პატარა ემიკო წმინდა ჰაერზე ამყოფეთ, მხოლოდ როდესაც კარგი დარია, ქარი არ არის და ნოტიო. თუ ზამთარშია ბავშვი დაბადებული 1 ან 2 თვისა შეგიძლიანთ გარედ გამოიყვანოთ, ზაფხულში-კი ერთი კვირისაც შეიძლება. სეირნობამ, თუ გინდათ რომ ნამდვილი სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა 1) იცოდეთ, რომ ზაფხულში ყველაზე საუკეთესო სასეირნო ადგილი—ბაღია, ქვიშით დაფენილი ეზო, მაღლობი ადგილები და სხვა-და-სხვა. არ უნდა ასეირნოთ ბავშვი ვიწრო ქუჩებში, დიდ ქუჩებში, სადაც მრავალი ხალხი მიდის და მოდის; მეტის-მეტად მავნეა სეირნობა არხთან, სასაფლაოსთან, ტბებთან, მდინარეებთან, ჭაობებთან, სადაც მრავალი უჩინარი ცხოველები ბუდობენ (ინფუზორები); 2) უნდა ესეც იცოდეთ, თუ როდის ასეირნოთ თქვენი ემიკო. ამისათვის საუკეთესო დრო 11—4 საათამდის, ან თუ გრძელი დღეებია, მზის ჩასვლამდის. ზაფხულში ბავშვები შეიძლება კარგ ამინდზე მთელი დღე ჰაერზე ამყოფოთ: არ უნდა მისცეთ ნება სეირნობისა ძალიან ადრე, ვინემ მზეს არ დაუკრავს თავისი ძლიერი სხივები დედა-მიწისათვის და არც გვიან, შემდეგ მზის ჩასვლისა; 3) ქარიან დღეში ბავშვი არ უნდა ასეირნოთ და თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ამ დროს მის ქუჩაში გამოყვანას, ამას მაინც ეცადენით, რომ ბავშვს პირდაპირ სახეში არ უბერავდეს ქარი; აგრეთვე მავნებელია ბავშვის ხელში დაჭერა ისე, რომ მზემ პირდაპირ თვალებში უბჭყვრიალოს: მისი თვალები უნდა დაცული იყვეს მზის ბჭყვრიალა მზის შუქისაგან ქოლგით ან პირბადით. 4) უნდა ყურადღება მიაქციოთ, რომ გამდელი სეირნობის დროს რიგიანად ექცეოდეს ბავშვს; ძალიან საჭიროა თქვენცა და თქვენმა გამდელმაც იცოდეთ, თუ ხელში როგორ დაიჭიროთ ბავშვი. იქმნება ამაზე გაგეცინოთ კიდეც, მაგრამ დიდი მნიშვნელობა კი აქვს ამის ცოდნას. 4 თვემდის გეზად უნდა გადაწოლილი გყავდეთ ხოლმე ხელზე, უამისოდ ხშირადა ხდება ხოლმე გაბრუნება ხერხემალისა, კუზიანდება ბავშვი, ეკრუნჩხება გულის ფიცარი და ზიანდება თეძო და თუ ბავშვს თავი მაგრა უჭირავს, თუ იგი გამაგრებულია ტანში, მაშინ კი ნება გაქვთ დაიჭიროთ ხელში და ისე ატაროთ. ამ დაჭერის დროს მიაქციეთ ყურადღება, რომ გულის ფიცარი არ შევიწროვდეს და მასთან გული და ფილტვები, რა მიზეზითაც ბრკოლდება სისხლის მიმოსვლა თავიდან გულთან, რომ არ შეიხუთოს კუჭი, რა მიზეზითაც მოხდება ხოლმე მისი მოშლა და ბავშვს აუტყდება ხოლმე ბოყინი და სხ. ტყუილად კი არა ბრძანებს ბ-ნი ჟუკი *): „ახლად მოვლენილი ბავშვი თავსაც ვერ იღებს. თუმცა მას იგივე ორგანოები აქვს, რაც დიდებს, მაგრამ ჯერ ვერ უსწავლია მითი მოხმარება და მასთან ძვლებიც ძალიან სუსტები აქვს. ფეხებითა და ხელებით იგი უკვე თავისუფლად მოძრაობს და მიეცით ნება ამ ვარჯიშობისა. დაიჭირეთ ხოლმე ისე, რომ თავისუფლად იფუთფუთოს, მეტადრე როდესაც მას არ ეძინება, ნუ შეავიწროებთ ჯანისამოსით და დრო-გამოშვებით გამთბარ ლოგინში გადაჰხადეთ ხოლმე საბანი, რომ თავისუფლად შეეძლოს ვარჯიშობა თავისი ორგანოებისა. ჯერ ეცდება აამოძრაოს თავი და მერე აიღებს კიდეც მაღლა. მაგრამ ნუ აიყვანთ ამ დროს მას სახლში, თორემ უხეიროდ ხელში დაჭერამ იცის გაბრუნდება ხერხემალისა, რაიც თქვენი თვალით შეგიძლიანთ ჰნახოთ აქ მოყვანილ სურათზე.



ალ. წათაძე.

---

*) იხ. აღზრდა შვილისა ერნესტ ბემესი, ჩემ მიერ ქართულად გადმოღებული.

*) იხ. Мать и дитя – Жука.

თან საექიმო ფაკულტეტის დაარსების შესახებ.

◆ მოსკოვის ბანკი 20 ათას მანეთს საჩუქარს ჰპირდება იმას, ვინც დაიჭერს ვაჭარს შლეზინგერს, რომელმაც ბანკიდან ყალბი ვექსილებით 400 ათასი მანეთი გამოიტანა და დაიმალა.

◆ საპყრობილეთა მთავარ-სამმართველოს უკვე შეუმუშავებია პროექტი ქალების საპყრობილის სპეციალურ შენობისა. ეს შენობა პეტერბურგშია განზრახული.

◆ 10 ოქტომბერს უმართებულესს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის მეორე განყოფილებამ განიხილა საკასაციო საჩივარი დაშევსკისა, რომელსაც „ზნამია"-ს რედაქტორის კრუშევანის თავდასხმისათვის პეტერბურგის ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ ღირსების ჩამორთმევა და გამასწორებელ რაზმში ხუთის წლით გაგზავნა. უმართებულესმა სენატმა განაჩენი შეუცვლელად დასტოვა.

ლეჩხუმ-სვანეთის რამე-რუმე

ისევ უგზოობა.—მასწავლებელი პ. ხე—ნი და მისი გაჭირვება.—დაბა ლაილაში და ებრაელთა სკოლა.—საქონლის ჭირი.—ცაგერის „ენკენობა" და უფასო სამკითხველო.

ისევ უგზოობის შესახებ უნდა ვესაუბრო მკითხველს. აბა, სხვა საგანი რომელი ავიღო, რომ ლეჩხუმის მაზრას შევეხო კარგის მხრით? არც ერთი კუთხე საქართველოში ისე არ არის შეწუხებული უგზოობით, როგორც ლეჩხუმი. ავდარში აქაურს გზებზედ გავლა არავითარს სულდგმულს არ შეუძლიან უხიფათოდ: ან მთლად ჩაეფლება კაცი ცხენითურთ, ან ტალახში ამოითხუპნება. სანამ კარგად არ მოშრება ტალახი, მანამ ურმის გზა ძნელდება და სოფლიდან სოფელში სიმძიმის ზიდვა შეუძლებელ საქმედა ჰხდება. სვანეთის გზებზე (ცხენის წყლის პირას) ლაპარაკი სრულიად არა ღირს: ან უვარგისს დამპალს ბოგირებს ვერ გადაურჩები, ან სახიფათო ბილიკების წერა შეიქმნები, თუ არ იმარჯვე. ნამეტნავად დაზიანებულია ცაგერიდან ლენტეხამდე მიმავალი გზა. უხიდობამ ხომ მთლად გააჭირვა საქმე. ამ ორი-სამი წლის წინად გაკეთებული ხიდები ზოგი ჩაიქცა, ზოგი წყალმა წაიღო და მათ მაგივრობას გვიწევს ბოგირ-ჭოკები, რომლებზე გასვლაც სუვოროვის მიერ ალპების გადასვლას უდრის. ზოგგან ბოგირებიც არა გვაქვს და მგზავრი იძულებულია მთის გამხეცებულ წყლის ზვირთებს ებრძოლოს (მაგ. მდ. ხელედურა). სწორედ გასაჭირი მდგომარეობაა და დროზედ მიშველება პირველი საქმეა, მაგრამ ვინაა ჩვენში მოქმედი, ან ნათქვამის გამგონე?

უგზოობას ზედ ემატება ლეჩხუმიდან ქუთაისამდე მიმავალ „მელინეიკეთა" ადვირ-ახსნილობა. ამეების თავგასულობასა და უსინდისო საქციელს საზღვარი არა აქვს. თუ გიჭირს, შენი მტერია, იმათ ტყავი გაგაძრონ; ამან თქვენი ჭირი წაიღოს, საჭიროების დროსაც რომ ვერ იშოვნი ეტლს შენს ნებაზე? თუ იშოვნე და შენს მტერს იმისთანა, მთელს მოგზაურობაში შენ შიში გამოიარო; შიში რომელია—ან ფეხით უნდა იარო ნახევრობით—ისეთი მკვდარი ცხენები უბიათ,—ან და სადღაც ღრიანცელში გადაგურიან.

სხვის პიროვნების გათელვის შესახებ საუბარმა გაგვახსენა ერთი ამბავი, რომელიც, ვგონებ, უგულოსაც მოჰგვრის სიბრალულს. ერთი აქაურთაგანი, გვარად პ. ხე—ნი ოცდახუთი წელი მსახურებდა სოფლის მასწავლებლად ხან რაჭას, ხან ლეჩხუმსადა ბოლოს დროს შვიდი წელი სვანეთშიაც (ს. ლაშხეთში). რაც ძალი და ღონე შესწევდა, თავს არა ზოგავდა და 25 წლის განმავლობაში წვრილი ცოლ-შვილით დატვირთულმა ბევრი წვალება გამოიარა იმ იმედით, რომ ბოლოს რაიმე შემწეობა მიეღო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. რადგან უბრალო მიზეზისა გამო, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ მოახვიეს თავზე, სამსახურიდან დაითხოვეს სრულიად უსახსროდა და ულუკმა-პუროდ. წარმოიდგინეთ, მკითხველო, მდგომარეობა ცოლ-შვილით დატვირთულის კაცისა, რომელსაც 25 წელი ხალხისათვის სამსახურში გაუტარებია და ოჯახის კეთილდღეობისათვის ერთიც არ უზრუნვია, და დღეს კი, სიბერის დროს, უსახსროდ დარჩენილა. აი, ამგვარს მდგომარეობაში ჩავარდნილი იძულებული შეიქმნა სხვაგან წასულიყო და დღიურ მუშაობით თავი და ოჯახი ერჩინა. ცალკე ჯაფამ, ცალკე ფიქრმა—ყველა ამან თავისი ჰქმნა და საცოდავი მასწავლებელი ჭკუიდან შეიშალა. უნდა გენახათ, რა აუწერელს სანახაობას წარმოადგენდა: სახე დაღრეჯოდა, თმა გათეთრებოდა და სიმწარისაგან საზარლადა ღმუოდა. ეს იყო 25 წლის ჯაფისა და შრომის ჯილდო...

ცოტა რამ ლაილაშზედაც ვსთქვათ. დაბა ლაილაშს მაღალი მდებარეობა აქვს და მშვენიერი საავარაკო ადგილია, მაგრამ რად გინდა? საოცარი სიბინძურეა როგორც ებრაელთა უბანში, ისე თვით „ბაზარშიაც". ებრაელთა უბანში გავლის დროს ისეთი არა სასიამოვნო სუნი გეცემა, რომ 60 გრადუსიან არაყივით გაგაბრუებს. დ. ლაილაშში 120 კომლამდე ქართველია, 20 კომლი სომეხი და 100 კომლამდე ებრაელი. ალებმიცემა უმეტეს ნაწილად სომხებისა და ებრაელების ხელშია. ურევიან წვრილი კაპიტალისტებიც. მევახშეობა აქაც მძვინვარებს. სომხებსა ჰყავთ საკუთარი მღვდელი და აქვთ ქვის ეკკლესია. ებრაელებს ჰყავთ ხახამი და ერთი მასწავლებელი, რომელიც ებრაულს წერა-კითხვას ასწავლის ბავშვებს. სწავლება მეტად პატრიარქალურადაა დაყენებული. სწავლის მსურველი ბევრია, მაგრამ საქმის მოთავე ძვირი. საჭიროა ლაილაშელ ებრაელთათვის საკუთარი სკოლა, სადაც პირველდაწყებითი სწავლება ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, რადგან სხვა ენა არ იციან. პირველადვე ებრაულს ენაზე ბავშვების მიყენება დიდი მომაკვდინებელი ცოდვაა. მე თითონ დავრწმუნდი, რომ ბავშვებმა იციან ებრაულად კითხვა, ლოცვები ზეპირად, მაგრამ უმეტეს ნაწილად არ ესმით მნიშვნელობა წაკითხულისა. როგორც-კი შეუსწავლიათ ებრაული ანბანი, მაშინვე მასწავლებელს ბავშვები მიუყენებია დაბადებისთვის, რომელსაც უთარგმნის ქართულად, მაგრამ ეს თარგმანი უფრო თავისებური ხასიათისაა, ვიდრე ნამდვილი. როგორც თითონ მასწავლებელმა მითხრა, თითო ბავშვი აძლევს სწავლის ფასს ორ-ორ მანეთს (60 ბავშვი ჰყავს) და ამასთან აქვს კერძო გაკვეთილები: ამზადებს ბავშვებს ქუთაისის ხახამთან წარსადგენად მოწმობის მისაღებად. კერძო გაკვეთილებში იღებს თითო კაცისაგან 12—15 თუმნამდე.

ლეჩხუმის მაზრას დ. ლაილაშში აქვს სახელმწიფო სასოფლო სამკურნალო ერთის ექიმით, ბებია ქალითა და ორის ფერშლით. წამლები და რჩევა უფასოა, მაგრამ მეტი ნაწილი ხალხისა ვერ სარგებლობს, უგზოობისა და სიშორის მიზეზით. მიუხედავად ამისა, ხალხი დიდის პატივისცემით იხსენიებს ექიმს თ. დ. ღ—ძეს, რომლის ტკბილი სიტყვა და ქცევა წამალს უდრის.

მთელ ლაშხეთის საზოგადოებას (400 კომლია) მოედო საქონლის ჭირი—თურქული და გაჭირვებაში ჩააგდო. არ იცის კაცმა, ან პური რითი გალეწოს, ან თივა რითი მოიტანოს, ან შეშა რითი მოზიდოს და ან სხვა საჭიროებას რითი გაუმკლავდეს. „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო",—სწორედ საწყლებსაც ასე ემართებათ, რადგან ყურადღებას არავინ არ აქცევს. ასეთსავე მდგომარეობაშია ს.ს. ოყურეშისა და მახურას საქონელი.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ცაგერში „ენკენობა" (ბაზრობა) იმართება ხოლმე. ვერც წრეულს მოგვიტანა რაიმე კეთილი ამ ენკენობა-ბაზრობამ, რომელმაც 14—28 ენკენ. გასტანა. ისევ ის უვაჭრობა, ისევ ის სიძვირე ფულისა და სავაჭროისა, ისევ ის ქურდობა, ჯიბგირობა, უსაქმო კაცების ხეტიალი და ცხენების წვალება-ჯირითი და მეტი არაფერი. ყველაზე უფრო ნაზარალევი დარჩნენ სვანები, რომელთაც მსხვილი საქონელი მოდენეს გასასყიდად, მაგრამ გასაღებით-კი ვერა გაასაღეს-რა და თითო საქონელზე ათ-ათი შაური მაინც გადაახდევინეს ბეითლებმა. ბაზრობამ, რომელიც დ. ცაგერს გაიმართა და მალე ისევ ჩაიშალა, გაგვახსენა სამკითხველო, რომელიც ეს მეორე წელიწადია, რაც დაარსდა, მაგრამ მკითხველი კი ნაკლებად მოეძებნება. იგი მოთავსებულია სასამართლოს შენობაში და მეთაურობს თვით მომრიგებელი მოსამართლე. მეთაურობა მეთაურობაა და სამკითხველოს დიას ჰქვირათა ნახავთ. წარწერაც მშვენიერია კარებზე: „ცაგერის უფასო სამკითხველო". „რის სამკითხველო, დია ჩვენ ვერა ვნახეთ, ვერც-რა მკითხველების შიგ და უფასო იქმნება, აბა ფასს ვინ დაადებს",—სთქვა მოსწრებულად ერთმა კაცმა, როდესაც ხსენებული წარწერა წაიკითხა. ალბად, ამას სხვებიცა ჰგრძნობენ და კარებზე მიუწერიათ: „საუკუნოდ იყოს შენი განსვენება, უფასო სამკითხველოვ!".

ი. მა—ნი

სასამართლო

I

შარშან-წინ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი თავ. ნიკოლოზ მიქელაძე და ივანე აბაშიძე თავს დასცემიან ერთს ებრაელს და წაურთმევიათ 6 მანეთი, რევოლვერი და სხვა წვრილი ნივთები. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ორივე დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 4 წლით გაგზავნა. საქმე პალატაში გადაუტანიათ. სხვათა შორის, ბრალდებულნი გაუსინჯავთ ექიმებს მ. გედევანიშვილს და ორბელს, რადგან ეჭვი გამოუცხადებიათ, რომ ბრალდებულნი სულით ავადმყოფნი არიანო. ეს საქმე პალატამ განიხილა სამშაბათს, 14 ოქტომბერს. პალატამ ექიმების ჩვენებიდან ის აზრი გამოიყვანა, რომ ორივე ბრალდებული სრულიად ჯანმრთელია და შეუცვლელად დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

II

ხვალ, 18 ოქტომბრისთვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე გურია-სამეგრელოს ეპარქიის ბლაღოჩინის პახუმ კილურაძისა, რომელსაც 60 წლის მოხუცის მღვდლის ალექსი ჯაშის მოკვლა ჰბრალდება. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო კილურაძე და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ციმბირის შორეულ ადგილებში გადასახლება. მღ. კილურაძეს პალატაში დაიცავს ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ოქტომბერი

პეტერბურგი. გენიგმა შაქრის ფასს ფუთზე 15 კაპეიკი დაუკლო.

პარიზი. გრაფი ლამსდორფი აქ შაბათამდე დარჩება, მიიღებს ლუბეს და გადასცემს ხელმწიფე-იმპერატორის წერილს. დელკასეს გრაფთან რამდენჯერმე ექმნება თათბირი.

იოკოჰამა. რუსეთის ელჩს კომურასთან თათბირი ჰქონდა. საქმეთა მდგომარეობას ცოტათი გაუმჯობესება ეტყობა, ეხლა უფრო იმედია, რომ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება მშვიდობიანად დასრულდება.

სოფია. მაკედონიის წრეები ჰფიქრობენ, ახალ რეფორმებს პორტა არ განახორციელებს და რევოლიუციონური მოძრაობა ზამთარშიაც არ შესწყდებაო. ცონჩევი და იანკოვი იტყობინებიან, რომ მათი რაზმები ისევ მოქმედებენ. სარაფოვმა ბიტოლიის ოლქს დასტოვა.

პარიზი. გრაფი ლამსდორფი მოვიდა.

ლონდონი. ნიუ-იორკის გაზეთების ცნობებით საპყრობილიდან განთავისუფლებულ ბოროტმოქმედს—ტოსკანოს 14 ოქტომბერს ქალაქ მექსიკაში ხუთჯერ უსროლია პრეზიდენტ დიაცისათვის რევოლვერი, მაგრამ ვერ მოუხვედრებია.

ზარაისკი. საერობო კრებაზე პრინციპიალურად გადასწყდა საკითხი გლეხების ხორბლის სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

ვარშავა. აქაური გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი მოვიდა.

16 ოქტომბერი

პარიზი. გრაფმა ლამსდორფმა ნახა პრეზიდენტი ლუბე და დაჰყო მასთან 50 წუთი. რუსეთის მინისტრი ელისე სასახლიდანს გამოატანა დელკასემ. ლუბე ხვალ გრაფის პატივის საცემლად სადილს გამართავს.

ასხაბადი. განმანადგებელ გამსესხებელი ბანკი სპარსეთში აგენტურას აარსებს სეისტანში, რომელმაც უნდა გაჰყიდოს საკომისიოთ იქ წელს მოტანილი საქონელი და აგრეთვე ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას.

კიევი. ჟმერინკის სადგურზე ვაგონში თოფის წამალი აფეთქებულა. როგორც მგზავრები ამბობენ, ვაგონში ერთი ტომარა თოფის წამალი ყოფილა, რომელსაც გადმოვარდნილი სანთელი დასცემია და აუფეთქებია. 12 მძიმედ დაშავებულთაგან ორი უკვე მოკვდა; მეორე ვაგონშიაც უნახავთ ტომარა ერთი ფუთი თოფის წამლით. ჰფიქრობენ, თოფის წამალი კონტრაბანდად მიჰქონდათ. მეტი ნაწილი დაშავებულთა ებრაელებია.

ბერლინი. სარწმუნო ხმები დადის, რომ ამ წელს რეიხსტაგში არავითარ სამხედრო კანონპროექტს არ წარადგენენ. ასეთ კანონ-პროექტის წარდგენას მომავალ წელს აპირობენ.

პარიზი. საფრანგეთის პრესა გრაფ ლამსდორფის დარბაზობის შესახებ თანაგრძნობით ლაპარაკობს. ამას სთვლიან დამამტკიცებელ საბუთად ორივე მოკავშირე სახელმწიფოთა შორის არსებულ გულითად დამოკიდებულებისა.

მუკდენი. იაპონიაში გავრცელებული ხმა, ვითომ რუსებს იალუში სიმაგრეები აეგოთ, ტყუილია; რუსებს აუგიათ მარტო საფარი, რომ ადგილობრივი მცხოვრები რუსები ხუნხუზების თავდასხმისაგან დაიფარონ. ის ხმები, ვითომ იაპონიას კორეაში ჯარი ჰყავდეს, არა მტკიცდება. რუსეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იაპონიაში კლებულობენ. ჩინეთის მოხელეთა სიხუტისა და პირობის შეუსრულებლობისა გამო, რუსეთის რაზმი შევიდა მუკდენში.

პარიზი. დელკასესთან თათბირის შემდეგ ლამსდორფი გაემგზავრა ელისეს სასახლეში და პრეზიდენტს თავის ხელით ჩააბარა ხელმწიფე-იმპერატორის წერილი.

პეტერბურგი. სტატს-სეკრეტარს ბეზობრაზოვს ებრძანა შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრად ყოფნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მცხეთას,

„არმაზში", რომელიც რკ. გზის სადგურიდან 3/4 ვერსზეა, **იყიდება** შეღავათიანის პირობებით მიწის ნაჭრები. ფასი ოთხ-კუთხ საჟენისა 40 კაპეიკიდან 1—50 კ.-მდე მიწის ნაჭრების დათვალიერება დანიშნულია კვირას, 19 ოქტომბრისათვის.

იკითხეთ აგარაკი ჩხარტიშვილისა

(4—168—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

მომღერალი

ფილიმონ ქორიძე

ასწავლის გალობა-სიმღერას ევროპიულად და ქართულად და იტალიურ ენას. **ქალი მისი ვალენტინა**—ფორტე-პიანოზე დაკვრას და ფრანგულ ენას. ერმოლოვის ქუჩა, სახლი ხარაზოვისა № 7. მოლაპარაკება: დილით 10—1, სადამოთი 4—6 საათამდე.

(3—2)

ვარდისფერი ბროლისებური **საპონი**

№ 4711

ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ

ხაირათიანია.

ვარდის საუცხოვო სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი

კოლოკოლნაია № 4711 კელნსა და რიგაში.

(მც. 10.—2)

მალე, კარგად და იაფად

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ვიღებ შესაღებავად და გასაწმენდად ყოველგვარ „მატერიას" და ტანსაცმელებს ყოველნაირ ფერებისას, სურვილისამებრ. შეკერილი ტანისამოსი შეიძლება სამკაულიანიც იყოს და პალტოები—ტყავის სარჩულიანი,—ვღებავ დაურღვევლად. ამ საქმეში იმდენად დახელოვნებული ვართ, რომ ჩვენს ფირმას მთელი რუსეთი იცნობს. ყველას შეუძლია პირადად დარწმუნდეს. სახელოსნო იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, სახლი № 68, „ფრანგული სამრეცხაო" ყოფილი ტელქოვისა. განყოფილება არსებობს მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 59.

პატივისცემით **ივანოვი შვილით და კალევიჩი**

(5—164—4)

Дозв. ценз. Тифлисъ 16 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат.—Тва).